პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 110 (11114)
ოთხშაბათი
14
მაისი
1958 წ.
ფასი 20 კაპ.

## ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური აგიტაციისათვის

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო მძლავრ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას განიცდის. სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისისა და წინა პლენუმების უმნიშვნელოვანესი დადგენილებები ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს. პარტიისა და მთავრობის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებში მშრომელები ხედავენ სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცების ნათელ პერსპექტივებს.

დიდი გამოცოცხლებაა საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში. მინდვრად გუგუნებენ კოლმეურნეობათა ტრაქტორები. მექანიზატორები კოლმეურნეობათა ტრაქტორების საჭეს მიუსხდნენ და წარმატებით ასრულებენ ხვნა-თესვის გეგმებს.

...ვეთებში, როგორ იცავენ ხვნა-თესვის აგროტექნიკას.

საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში კარგად მოაწყეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა პარტიის სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, გორის, წალენჯიხის რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. კომუნისტთა კრებებზე საქმიან ვითარებაში განიხილავენ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხს. სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ბრიგადებსა და რგოლებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად, კედლის გაზეთებისა და საველე ფურცლების გამოსაშვებად.

იმისათვის, რომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა უფრო მებრძოლი და მაღალიდეური იყოს, კიდევ უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებთან, საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღებით შეარჩიონ აგიტატორთა კადრები, მზრუ...

...თა შეკრებები და თათბირები, შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, ფართოდ იქნას გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი — კედლის გაზეთები, საველე ფურცლები, პლაკატები და მოწოდებანი. აგიტატორს უნდა აინტერესებდეს ის, თუ როგორ ხდება სასუქების შეტანა ნაკ...

...ტორებისა და ლექტორ-მომხსენებლებისადმი. მასებში ღრმაშინაარსიანი, ცოცხალი და ქმედითი პოლიტიკური აგიტაციის გაჩაღება პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის, 1958 წელს ახალ სამეურნეო გამარჯვებათა მოპოვების საწინდარია.

## შეუნელებლად ვიბრძოლოთ საქართველოში ქიმიური მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის

### აზოტოვანი სასუქების ქარხანაში

რუსთავი. (სპეც. კორ.). კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებამ „მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების განვითარების დაჩქარების შესახებ“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ ამ პლენუმზე დიდი მოწონება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში.

საამქროებში აგიტატორები და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები აცნობენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს პლენუმის დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს.

ნატრიუმის გვარჯილის საამქროს კოლექტივს პლენუმის დადგენილება და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება გააცნო საამქროს უფროსმა ლ. ვარდოსანიძემ.

— საამქროს კოლექტივმა, — თქვა საამქროს ტექნიკურმა ხელმძღვანელმა პ. ველიკანოვმა, — პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 104,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაისის ათ დღეში გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია გამოუშვა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის საპასუხოდ ვალდებულებას ვიღებთ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით გავანაღდოთ.

პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ამ საამქროს ოსტატი პ. ცხვედაძე, მერემონტეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ფედოროვი და სხვები.

ქარხნის პარტბიუროს მდივანმა თ. მონცელიძემ თქვა:

— ყოველწლიურად დიდდება ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია. ქარხანამ პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 104,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო აპრილისა — 101,4 პროცენტით. იანვარში მწყობრში ჩადგა კალიუმპერმანგანატის საამქრო, რომელიც დღითიდღე ზრდის პროდუქციის გამოშვებას. 7-წლიანი გეგმით 1965 წლისათვის ქარხანა უფრო გაფართოვდება და ერთიორად გადიდდება პროდუქციის გამოშვება.

### მელიტოპონელთა ვალდებულებანი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აგიტატორებმა ლიტოპონის საამქროს უფროსის მოადგილემ ვ. ბრეგაძემ, ამავე საამქროს ბრიგადირმა რ. ხუჯაძემ, ბარიუმის საამქროს ცვლის უფროსმა პ. კაცაძემ, აირგენერატორის საამქროს უფროსმა რ. ქუთათელაძემ, მექანიკური საამქროს ხარატმა ი. თოდრიამ და ...

...ლაქ-საღებავებისა და შაბიამნის გამოშვებას. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა. სოფლის მეურნეობისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 20 ტონაზე მეტი შაბიამანი. მომავალში ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო გაადიდებს ქიმიური პროდუქტების გამო...

...თ. ხარატიშვილმა აგიტატორის საუბრის შემდეგ განაცხადა:

— ჩვენი ქარხანა ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რესპუბლიკაში, მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით ლიტოპონის, ...

...საწარმოო სიმძლავრის გადიდებისათვის. დაწყებულია თუთია-შაბიამნის საამქროს გაფართოება. გათვალისწინებულია ლიტოპონის, აირგენერატორისა და ხაქვაბე საამქროთა გაფართოება. 1965 წლისათვის ქარხნის სიმძლავრე ორჯერ გადიდდება.

## IV საკავშირო კონფერენცია კოლოიდური ქიმიის საკითხებზე

გუშინ თბილისში გაიხსნა კოლოიდური ქიმიის საკითხების ადმი მიძღვნილი IV საკავშირო კონფერენცია, მოწვეული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ. კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა ქიმიური მეცნიერების შემდგომ გან...

...უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, გულითადად მიესალმება კონფერენციის მონაწილეთ და უსურვებს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიული დადგენილების საფუძველზე შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს მუშაობაში.

შემდეგ სიტყვას იღებს აკადემიკოსი ა. დუმანსკი. მან მოკლედ გააცნო და...

...ორ მოხსენებას აკეთებს აკადემიკოსი ვ. კარგინი თემაზე: „პოლიმერები და კოლოიდები“. მესამე მოხსენებით გამოდის აკადემიკოსი პ. ტისენი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) თემაზე: „სუბმიკროსკოპული ელემენტარული პროცესები მკვრივი სხეულების მექანიკური დამუშავების დროს“.

მოხსენებების მსვლელობის დროს ნაჩვენები...

## სრულიად საკავშირო თათბირი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე

12 მაისს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარების და ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა გამოშვების გადიდების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობას იღებენ ქარხნებისა და ფაბრიკების, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოკავშირე ...

...ქანიზაცია. ეს არის მექანიზაციის დარგში წარმოებული მუშაობის მთავარი ნაკლი. იმ ჩარხების მნიშვნელოვან ნაწილს, ამბობს მომხსენებელი, რომლებსაც ჩვენი ქარხნები უშვებენ, შეადგენენ უნივერსალური ჩარხები. ამასთან ცოტა მათგანია აღჭურვილი სწრაფმოქმედი დამყენებელი, მოსაჭერი, საზომი და სხვა სამარჯვებით. ამის შედეგად მანქანური დროის ხვედრითი წონა დეტალების დამუშავებისას, მაგალითად, სახარატო ჩარხებით, 40 პროცენტს არ აღემატება. ამო...

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განვითარებისათვის მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა მრეწველობის გაფართოებას. სამრეწველო კონტროლის ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოშვება 1959 წელს უნდა გა...

...წია, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სამუშაოს ხელით ასრულებენ, ჯერ კიდევ მეტად დიდია. ეს იმით აიხსნება, რომ ყველგან როდი ხორციელდება შრომატევადი პროცესების კომპლექსური მე...

...მოყენებას.

მოხსენებაში დახასიათებულია აგრეთვე ნაკლოვანებანი წარმოების ავტომატიზაციის დარგში, ნაჩვენებია მათი მიზეზები.

...ვ. ა. ტრაპეზნიკოვი, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ა. კ. იგნატიევი და სხვები. (საკდესი).

## მოლაპარაკება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციებს შორის

12 მაისს მოსკოვში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციებს შორის დაიწყო მოლაპარაკება საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით. (საკდესი).

## არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი 12 მაისს საღამოს თავის თანამგზავრებთან ერთად საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები ეწვივნენ ტაშკენტს, ბაქოს, სოხუმს, სოჭს, ზაპოროჟიეს, კიევს, ლენინგრადსა და სტალინგრადს.

პრეზიდენტთან ერთად მოგზაუ...

...გენლები. ამასთან მოსკოვში დაბრუნდნენ ამხანაგები ნ. ა. მუხიტდინოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. რახმატოვი და სხვები, რომლებიც პრეზიდენტ ნასერს ახლდნენ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის...



IV საკავშირო კონფერენცია კოლოიდური ქიმიის საკითხებზე. ტრიბუნაზეა კონფერენციის საპატიო თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. დუმანსკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას 75 წელი შეუსრულდა

# ბრძოლის, შრომისა და გამარჯვების წლები



თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, მექანიკურ-დამკომპლექტებელი საამქრო.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## შრომაში დავაჟკაცებული

რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ოფლს ღვრიდნენ და მოთმინებით იტანდნენ წელგამტეხი შრომის სიმძიმეს თბილისელი რკინიგზელები.

მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლით იყო ანთებული მილიონობით ჩაგრულის გული. ეს ცეცხლი ოქტომბრის ლიდებულ მზედ იქცა, რომ დედამიწის ერთ მეექვსედზე თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების სიხარულის ნერგი ამოცენებულიყო და გაფურჩქნულიყო.

და რკინიგზის მთავარი სახელოსნოები მეტად ვიწრო აღმოჩნდა შემოქმედებითი შრომის გაქანებისათვის. დღეს ამ ადგილზე გოლიათურად წამომართულან თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კორპუსები.

როცა ქარხნის ეზოში შედიხართ, ხელმარცხნივ დაინახავთ საპატიო დაფას, რომელზეც მოთავსებულია ქარხნის მოწინავე ადამიანების სურათები. უზარმაზარია ეს დაფა, მაგრამ ასეთი დაფები ქარხნის მთელ ეზოშიც რომ იყოს გამწკრივებული, ალბათ მაინც ვერ დაიტევდა ქარხნის სახელოვან ადამიანთა პორტრეტებს.

ქარხნის კოლექტივი თვალისჩინივით უფრთხილდება თავის სახელოვან ტრადიციებს, ცდილობს შრომისა და გამარჯვებების ახალი ფურცლები შემატოს წარსულის წიგნს. ეს იგრძნობოდა ყოველთვის და იგრძნობა ახლაც — ქარხნის 75 წლისთავის ზეიმის დღეებში.

კოლექტივის ყოველი წევრი გამსჭვალული იყო ერთი მიზნით — შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით მოსულიყო იუბილეზე. საამქროებს, ცვლებსა და ბრიგადებს მოედო სოციალისტური შეჯიბრების ტალღა. განუწყვეტლივ ხმიანობდნენ დანადგარები, ხალისიანად მუშაობდნენ ხარატები, ზეინკლები, მემონტაჟეები, მექვაბეები, ამწყობები და ქარხნის კორპუსებიდან განუწყვეტლივ გამოდიოდნენ განსაღებული ორთქლმავლები, ვაგონები. ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა 112,7 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის 75-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ენერგოდანადგარების საამქრომ, რომელმაც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ამ საამქროს გამართული მუშაობით აიხსნება, რომ ქარხანაში დანადგარების მოცდენის შემთხვევები არ ყოფილა. ახალი წლიდან ქარხანაში აითვისეს მოტორვაგონსექციების შეკეთება. უკვე შეკეთებულია 4 მოტორვაგონსექცია. საამწყობო საამქრომ გეგმის გადამეტებით საშუალო შეკეთებიდან გამოუშვა ერთი ორთქლმავალი.

საყვირი სამუშაოს დამთავრებას აუწყებს მუშებს. საამქროებიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან მხნე, გამრჯე რკინიგზელები, კმაყოფილნი იმით, რომ ერთმანეთთან მეგობრულ შეჯიბრებაში წარმატებით დაამთავრეს ნაყოფიერი შრომის კიდევ ერთი დღე, რომ დღეს კიდევ ერთი აგური მიიტანეს კომუნიზმის მშენებლობაზე...

საღამოს შეჯიბრების ტალღა სპორტულ ბაზებზე გადადის. აქ ნაწილი შეჯიბრების მონაწილეა, ნაწილი კი მაყურებელი. მუშები შეძახილებით, ტაშით ამხნევებენ თავიანთი საამქროს კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, რომლებიც ერთმანეთს საქარხნო სპარტაკიადის ჩემპიონის სახელს ეცილებიან.

შრომაში, კულტურულ, ხალისიან დასვენებაში გადის დღეები.

ქარხნის ეზოში ძველ რკინიგზელს ზაქარია ტეგეტაშვილს შევხვდით. მან თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა ამ ქარხანაში. ახლა ზ. ტეგეტაშვილს პენსია აქვს დანიშნული. მოხუცს გული არ უდგება სახლში, დღე არ გავა, რომ მშობლიური ქარხანა არ მოინახულოს. ახლაც ახალგაზრდებს შორის ჩამჯდარიყო და საუბრობდა. ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს მოვკარით ყური:

— ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, ახლა თქვენ იცით.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ თქვეს სათქმელი — არც ჩვენ დავრჩებით ვალში მშობლიური ქარხნის წინაშე.

ა. ხუჭუა.

## მოწინავე ადამიანები

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ამაყობს წარმოების მოწინავე ადამიანებით, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. ისინი სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს და 5-10 წლით გაუსწრეს დროს. აი ზოგიერთი მათგანი:

* * *

### ალექსანდრე მარგველაშვილი



იგი მექანიკურ-დამკომპლექტებელი საამქროს ხარატია. ამხანაგებმა სასიყვარულო მეტსახელად სახარატო საქმის პროფესორი შეარქვეს. მართლაც მან ზედმიწევნით იცის სახარატო საქმე. ამიტომ არის, რომ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებს.

მოწინავე ხარატი მარტო პირადი შრომითი მიღწევებით როდი კმაყოფილდება. თავის მდიდარ გამოცდილებას გულდასმით გადასცემს ახალგაზრდებს, ზრუნავს იმისათვის, რომ საამქროში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი. ქარხანაში მუშაობის 24 წლის მანძილზე ა. მარგველაშვილმა 23 ახალგაზრდას შეასწავლა ხარატობა.

რიგითი მუშა, ხარატი ა. მარგველაშვილი დღეს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობს, იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

### ლევან მარგიშვილი



როცა საამქროებში ქარხნის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრება ჩაღდებოდა, ამწყობი საამქროს მექვაბეთა ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს მთელი ენერგიით ებრძოლათ გამარჯვებისათვის.

ნაყოფიერი შრომის შედეგად ბრიგადის საწარმოო მაჩვენებლები განუწყვეტლივ იზრდებოდა. მექვაბეებმა სასახელოდ გაანაღდეს დანაპირები. უკანასკნელი თვეების მანძილზე ლ. მარგიშვილის ბრიგადა გეგმებს სისტემატურად 400-450 პროცენტით ასრულებს.

ეს ბრიგადა კიდევ ერთი სასახელო „მაჩვენებლითაც" არის ცნობილი. ბრიგადაში ოთხი კაცი მუშაობს — ოთხი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი: ქართველი, რუსი, უკრაინელი და ოსი.

### კონსტანტინე ილურიძე



რკინასთან, გრდემლთან და ჩაქუჩთან დამეგობრებული ნოვატორი მჭედელი ქარხნის კოლექტივში ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, ეს სიყვარული თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით დაიმსახურა.

სამუშაო დროის გონივრულად, რაციონალურად განაწილებით, შრომის მოწინავე, პროგრესული მეთოდების გამოყენებით კ. ილურიძე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს — სისტემატურად 3-4-ჯერ მეტ დეტალს ჭედს, ვიდრე ცვლის დავალებით არის გათვალისწინებული.

ქარხანაში ყველა აქებს შრომისმოყვარე მჭედლის ნახელავს.

ლენინის ორდენოსანი მჭედელი ახლა 1965 წლის ანგარიშში მუშაობს.

### დავით ამირანაშვილი



იგი სამონტაჟო საამქროს ზეინკალთა ბრიგადირია. ქარხანაში მას იცნობენ როგორც შრომისმოყვარე, მუყაით ზეინკალს. ბრიგადის წევრები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ბრიგადამ პირნათლად გაანაღდა ქარხნის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად აღებული ვალდებულებანი, ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებს.

ბრიგადირს მხარში უდგას თავისი შვილი ოთარი. შრომისადმი სიყვარულმა მოიყვანა იგი სამონტაჟო საამქროში, მაგრამ არც სწავლაზე აუღია ხელი. ოთარი წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლაში.

## სახელოვანი ტრადიციების საწარმო — მოწინავეთა რიგებში

თავის საიუბილეო დღეებს საქართველოს მრეწველობის უხუცესი საწარმოს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი არაჩვეულებრივი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღნიშნავს. ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ არამარტო სიტყვით, არამედ საქმით, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნოს თავისი არსებობის 75-ე წლისთავი.

მოწინავეთა პირველ რიგებში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შემსრულებელთა ავანგარდში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კომუნისტი მუშები არიან. 900 კაცია ახლა აღრიცხული ქარხანაში, რომლებმაც წელს უკვე შეასრულეს წელიწადზე მეტისა და ორი წლის გამომუშავების ნორმები. ასეთები არიან კომუნისტი, ორთქლმავალამწყობი საამქროს მექვაბეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ლ. მარგიშვილი, ვაგონამწყობი საამქროს დურგალთა ბრიგადირი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და საქარხნო პარტიული კომიტეტის წევრი ამხ. ს. ტიგრანიანი, გამოჩენილი მჭედელი ამხ. კ. ილურიძე, მჭედელი ამხ. ს. ამბარცუმიანი და მრავალი სხვა მოწინავე ადამიანი.

ქარხნის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად საამაყო შრომითს წარმატებებს მიაღწია სავაგონო საამქროს მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ნოვატორი მუშა დ. ფეიქრიშვილი ხელმძღვანელობს. თავი ისახელა აგრეთვე გამოჩენილმა ხარატმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. მარგველაშვილმა.

საქარხნო პარტიული ორგანიზაცია საამქროთა და განყოფილებათა 21 პირველადს ორგანიზაციას და 47 პარტიულ ჯგუფს აერთიანებს. საქარხნო კომკავშირულ ორგანიზაციაში კი 500-მდე ახალგაზრდაა. ეს დიდი ძალაა, და საქარხნო პარტიული კომიტეტი ცდილობს მიზანშეწონილად გამოიყენოს იგი.

ქარხანაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კომუნისტების, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების თეორიული მომზადების საკითხებს, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ღრმად დაუფლების ამოცანას. ამჟამად ქარხანაში პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულია 503 კაცი, მათ შორის 476 კომუნისტი. დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიკის შესწავლის საქმეს. წარმოების ყველა მეთაური, ყველა ნოვატორი ჩაბმულია კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ წრეებში.

საქარხნო პარტიული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს კადრების მომზადების საქმეს. 29 კომუნისტმა უკვე წარმატებით დაამთავრა ოსტატთა ორწლიანი საქარხნო კურსები, ტექნიკუმებში სწავლას განაგრძობს 14 კომუნისტი, უმაღლეს სასწავლებლებში — 15 კომუნისტი, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობს 10 კაცი და ამდენივე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანია. ქარხანაში მუშაობს ათობით გამოცდილი აგიტატორი, მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც საგიტაციო მუშაობის ნამდვილ ნიმუშს გვაძლევს. მათ დასახმარებლად შექმნილია სამი აგიტკოლექტივი, აქედან ერთი — მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორებისათვის.

დიდად გვეხმარება მუშაობაში საქარხნო პრესა, კერძოდ ძირეული პრესა — კედლის გაზეთები. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუ ძირეულ ბეჭდვითს სიტყვას კარგად, ოპერატიულად ვუხელმძღვანელებთ, მას პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყოველ უბანზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ჩვენთან რეგულარულად გამოდის 26 კედლის გაზეთი, იუმორისტული გაზეთი „ნიანგის შვილობილი" და მრავალტირაჟიანი საქარხნო გაზეთი „ჩვენი საყვირი". ეს გაზეთები ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ საქარხნო პარტიულ ორგანიზაციას სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად მასების დარაზმვაში.

აღნიშნავს რა თავისი სახელოვანი არსებობის 75-ე წლისთავს, ჩვენი ქარხნის კოლექტივი აღსავსეა ენთუზიაზმით ახალი შრომითი წარმატებების მოპოვებისათვის, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ჩვენი ქარხანა შემდგომშიც მუდამ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში იყოს.

დ. აბუთიძე,

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

---

⊙ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში 3.500 კაცი მუშაობდა. მაგრამ ეს საწარმო აღჭურვილი არ იყო ტექნიკით, მეტად დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. დიდ მიღწევად ითვლებოდა, თუ თვეში მცირე სიმძლავრის 3-4 ორთქლმავალს გამოუშვებდნენ შეკეთებიდან. მეტ წილ შემთხვევებში ორთქლმავლები შეკეთებაში იდგნენ 3 თვეს მაინც, ხოლო ზოგჯერ — 2 წელიწადსაც კი.

⊙ დღეს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშახელის რაოდენობა წარსულთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებია, მაგრამ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 7-ჯერ გაიზარდა. ყველაზე მძიმე კაპიტალურ შეკეთებაში მძლავრი ლოკომოტივების მოცდენის დრო შემცირდა საშუალოდ 25 დღემდე.

⊙ ქარხანაში 300-მდე რაციონალიზატორი და გამომგონებელია. შარშან აქ 150 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება დაინერგა, რითაც ქარხანამ 379 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. მიმდინარე წლის 4 თვეში შემოსულია 112 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან უკვე დანერგილია 46.

⊙ შარშან ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს 62 საგზური სანატორიუმებში, 105 — დასასვენებელ სახლებში, 540 — ქარხნის ღამის სანატორიუმში. უფასო კვებით უზრუნველყოფილი იყო 156 კაცი. 288 მუშა-მოსამსახურის შვილებმა მიიღეს პიონერთა ბანაკების საგზურები.

⊙ ქარხანასთან არის კლუბი, მუშა ახალგაზრდობის სკოლა, ღამის სანატორიუმი, პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღი, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, 3 სასადილო. მალე ოქტომბრის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

## ცოდნას იძენენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

ქარხანაში სიმწიფის ატესტატით ყოველწლიურად მოდიან სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკები და ქალიშვილები. ბევრი მათგანი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, პრაქტიკულ საქმიანობაში უნარიანად იყენებს თეორიულ ცოდნას.

ჯუმბერ სტვილიამ 1955 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ქარხანაში ელექტრომონტიორის მოწაფედ დაიწყო მუშაობა. იგი მალე დაეუფლა ახალ პროფესიას და ახლა წარჩინებული ელექტრომონტიორია. სტვილია ამავე დროს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების მეხუთე კურსის სტუდენტია და საუკეთესოდ ათავსებს პრაქტიკულ მუშაობასა და სწავლას.

გ. პირკულაშვილი მამაცურად იბრძოდა დიდ სამამულო ომში პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. სახელოვნად ომგადახდილმა კვლავ მშობლიურ თბილისს მოაშურა და ამავე ქარხანაში ელექტრომონტიორად დაიწყო მუშაობა. გასულ წელს მან შრომისაგან მოუწყვეტლივ წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი და ახლა ქარხნის სამგზავრო-სავაგონო საამქროს ინჟინრად მუშაობს.

ახალი შრომითი გამარჯვებების მოპოვებისა და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მეცნიერული ცოდნის დაუფლების უსაზღვრო სურვილი თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა ახალგაზრდობის დამახასიათებელი მისწრაფებაა.

ჰ. ხვადაძე.

## რევოლუციური კადრების სამჭედლო

75 წლის წინათ, 1883 წლის მაისში საქართველოში გაიხსნა დიდი საწარმო — თბილისის რკინიგზის სახელოსნოები, რომელსაც წილად ხვდა შეესრულებინა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს გახსნა ამიერკავკასიაში რკინიგზის ქსელის ფართო მშენებლობის შედეგი იყო. მას წინ უსწრებდა თბილის-ფოთის რკინიგზის ხაზის გაყვანა (1872 წ.), ამ ხაზიდან ქუთაისის შტოს გაყვანა (1877 წ.), თბილის-ბათუმისა და თბილის-ბაქოს რკინიგზის ხაზების მშენებლობის დამთავრება (1883 წ.).

მიმოსვლის საშუალებათა და განსაკუთრებით რ კ ი ნ ი გ ზ ე ბ ი ს ფართო მშენებლობა, რის შედეგადაც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, ერთ-ერთი ის ფაქტორი იყო, რომელმაც ამიერკავკასიაში დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, სამრეწველო მუშათა კლასის წარმოქმნა და ამიერკავკასიის ხალხების ბურჟუაზიულ ერებად ჩამოყალიბების პროცესი. თბილისის სახელოსნოები და დეპო პირველი საწარმოები იყვნენ, სადაც ამიერკავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობიდან მოსული გლეხები, რომლებსაც მემამულეთა და კულაკთა მათრახი ქალაქებისაკენ მიერეკებოდა, აქციეს მუშებად და კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირველი დარტყმები აწვნიეს მათ.

მუშებს ცხოვრება უხდებოდათ ნესტიან სარდაფებში, ჭუჭყიან დარაბებში, ვიწრო ბნელ ოთახებში. სახელოსნოებისა და საამქროების უფროსები თვითნებურად სჯიდნენ მუშებს, აჯარიმებდნენ „ურჩობისათვის", ოსტატებისადმი შელაპარაკებისათვის, სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლისათვის და ადრე მოსვლისთვისაც კი.

შრომისა და ცხოვრების არაადამიანური პირობების გამო მუშებში იზრდებოდა უკმაყოფილება. მუშები აწყობდნენ გაფიცვებს, რაც პირველად სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ შემდეგ, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენით, იგი მთავრობისა და კაპიტალისტებისათვის საშიშ ხასიათს იღებდა.

თბილისის რკინიგზის სახელოსნოები და დეპო პირველი საწარმოებია, რომლებმაც ამიერკავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობიდან გამოჰყვეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეგნებულად მებრძოლ მუშათა პირველი რაზმები. აქ ჩაისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი რაზმის პირველი წრეები და უჯრედები, შეიკრა ინტერნაციონალური კავშირი ქართველ, რუს, სომეხ და მრავალი სხვა ეროვნების მუშებს შორის.

რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა მაღალ შეგნებულობას ადასტურებს მათი გამოხმაურება დიდი რუსი მწერლის გ. უსპენსკის იუბილეზე, მისი მოღვაწეობის ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე 1889 წელს მათი კოლექტიური წერილი სალტიკოვ-შჩედრინის მეუღლისადმი — დიდი რუსი სატირიკოსისა და რევოლუციონერ-დემოკრატის გარდაცვალების გამო. თავიანთ წერილში მუშები მტკიცედ აცხადებდნენ, რომ შჩედრინის სახით „რუსეთმა დაკარგა სიმართლისა და თავისუფლების საუკეთესო, სამართლიანი და ენერგიული დამცველი, მებრძოლი წინააღმდეგ ბოროტებისა, რომელსაც იგი ძირშივე ამარცხებდა თავისი მძლავრი გონებითა და სიტყვით".

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს შორის აღიზარდნენ ისეთი ცნობილი მუშა-რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ მიხო ბოჭორიძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, თევდორე მაიოროვი, ალილუევი, თევდორე აფანასიევი, ვანო სტურუა, გიორგი თელია და სხვები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს რევოლუციურ მოძრაობაში.

ამ საწარმოთა მუშებს შორის 1891 წლის დეკემბრიდან 1892 წლის სექტემბრამდე მუშაობდა დიდი პროლეტარული მწერალი და რევოლუციონერი, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდ ე ბ ე ლ ი ა. მ. გორკი, რომელიც შემდეგ დიდი სიამოვნებით იგონებდა თბილისის მუშებს, თბილისის დემოკრატიულ ინტელიგენციას და აქ გატარებულ დღეებს.

რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს შორის აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ფუძემდებლები ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე და სხვები.

ი. სტალინი თბილისის მუშებს თავის პირველ მასწავლებლებად თვლიდა. „მაგონდება 1898 წელი, — ამბობდა სტალინი 1926 წელს, — როცა პირველად ჩამიბარეს რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ, ამ ამხანაგების წრეში, გავხდი მაშინ რევოლუციის შეგირდი... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ".

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს შორის მუშაობა მოუხდა მ. კალინინს, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობის გამო მეფის მთავრობამ პეტერბურგიდან კავკასიაში გადმოასახლა. „მე მაშინვე ვიგრძენი, რომ მშობლიურ წრეში მოვხვდი", — იგონებდა მრავალი წლის შემდეგ მ. ი. კალინინი, რომელმაც თბილისის მუშებს პეტერბურგის მუშათა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება გააცნო და აქტიური მონაწილეობა მიიღო რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვაში. ეს პირველი დიდი პოლიტიკური გაფიცვა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მ. კალინინს არაერთხელ აღუნიშნავს აგვისტოს გაფიცვასთან დაკავშირებული ამბები. იგი მას აფასებდა როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის შესანიშნავ მაგალითს.

თბილისის მუშათა რევოლუციური ბრძოლის შემდგომი საფეხური იყო 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც 5 მაისს (22 აპრილს) მოეწყო. ამ ისტორიულ დემონსტრაციაში თბილისის ყველა საწარმოთა მუშები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მის ძირითად და წარმმართველ ძალას თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშები წარმოადგენდნენ. ამ დემონსტრაციას ლენინურმა „ისკრამ" მთელი კავკასიისათვის „ისტორიულად ღირსშესანიშნავი" მოვლენა უწოდა.

თბილისელმა რკინიგზელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაში. რეაქციის წლებში მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მეფის მთავრობამ, ათობით მოწინავე რევოლუციონერი დააპატიმრა და გადაასახლა, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთების აღმოფხვრა მათში მაინც ვერ შეძლო. თბილისელი რკინიგზელები მუდამ წარმოადგენდნენ თბილისის და მთელი საქართველოს მუშათა მოწინავე რაზმს, ისინი მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ როგორც მეფის მთავრობის, ისე თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დამყარებული ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ძველი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საწარმო — თბილისის რკინიგზის სახელოსნოები და დეპო საბჭოთა ხელისუფლებამ გადააქცია მაღალი ტექნიკით აღჭურვილ სოციალისტურ საწარმოდ — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნად, რომელიც ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს.

საბჭოთა ხელისუფ ლ ე ბ ი ს წლებში ქარხანა ძირფესვიანად განახლდა. იგი ცნობილი გახდა მაღალხარისხოვანი პროდუქციით, თავისი კოლექტივის — მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების დარაზმულობითა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით. საწარმოთა სიახლის დანერგვაში ინიციატივის გამოჩენით, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლით. მეფის მთავრობის დროს, აგრეთვე მენშევიკების ბატონობის წლებში რევოლუციის კადრების სამჭედლო ახლა ჭედს წარმოების ნოვატორებს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლებს.



თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა, 1901 წელი.

მხატვარ ი. ვეფხვაძის სურათის ფოტორეპროდუქცია.

გ. სიხარულიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიკოლოზ ზაბოლოცკი**

# რუსთაველის სიბრძნე

> თვალსაჩინო რუსი საბჭოთა პოეტი ნიკოლოზ ზაბოლოცკი ცნობილია აგრეთვე როგორც გამოჩენილი მთარგმნელი. განსაკუთრებული ადგილი მის მთარგმნელობით მუშაობაში უკავია ქართულ კლასიკურ და თანამედროვე პოეზიას, რომელსაც იგი უდიდესი სიყვარულითა და გატაცებით თარგმნის წლების მანძილზე.
>
> ნ. ზაბოლოცკის მრავალი წლის შთაგონებული მუშაობის შედეგია მის მიერ ახლახან დამთავრებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი.
>
> ნ. ზაბოლოცკის ნაშრომი მის დიდ კეთილსინდისიერებასა და მაღალპოეტურ ნიჭზე მეტყველებს.
>
> დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ნ. ზაბოლოცკის სტატიას, გამოქვეყნებულს „ლიტერატურნაია გაზეტას“ 8 მაისის ნომერში. ამ სტატიაში ავტორი მკითხველებს უზიარებს თავის აზრებს რუსთაველის უკვდავი ქმნილების გამო.

თვითეულ წიგნს თავისი ბედი აქვს, ზოგიერთის ბედი კი ჭეშმარიტად საოცარია. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია XII საუკუნის დამლევს, მაგრამ იგი დღემდე ქართველი ხალხის ნიადაგსახმარი წიგნია. რუსთაველის პოემის ნუსხები საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობაში გადადიოდა, მამისგან შვილს გადაეცემოდა, მათ მზითვად ატანდნენ, ადამიანები წიგნს ზეპირად სწავლობდნენ, ხოლო მისდამი გულგრილი კაცი მთლად უვიცად ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის მთელი თაობები აზროვნებდნენ რუსთაველის ზნეობრივი კატეგორიებით, მისი აფორიზმებისაგან შექმნეს პირადი და საზოგადოებრივი მორალის თავისებური კოდექსი.

რით აიხსნება შოთა რუსთაველის ეს მრავალი საუკუნის პოპულარობა? ამ მოვლენის მიზეზი ბევრია, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მათგან მხოლოდ ერთს: რუსთაველის მორალურ კონცეპციას, რომელიც საფუძვლად უდევს მის პოემას.

რუსთაველი თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული და მოწინავე ადამიანი იყო. ევროპულ რენესანსამდე დიდი ხნით ადრე მან ადამიანებს აუწყა ახალი ჰუმანისტური მორალის საწყისები. მისი იდეალები წარმოგვიდგება არა განყენებულ მსჯელობათა სახით, არამედ ცოცხალი, ადამიანური განსახიერებით, მისი გმირების — ვაჟებისა და ქალების სახეებით; ეს სახეები რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი არიან და ოდნავაც არ გვანან ამა თუ იმ იდეის აბსტრაქტულ მატარებლებს.

ვაჟკაცობის, მოვალეობისადმი ერთგულების, მამულისადმი სამსახურის მაღალი იდეალები, უანგარო მეგობრობისა და ამაღლებული სიყვარულის იდეალები რუსთაველის მრავალი გმირის დამახასიათებელია, მაგრამ პირველ რიგში მათი მატარებელია რაინდი ავთანდილი. მეგობრობის გულისათვის, დაღუპვის გზაზე მდგომი მეგობრის ხსნისათვის ავთანდილი ტოვებს ყველაფერს: სატრფოსაც, ამირსპასალარის მაღალ წოდებასაც, სიმდიდრესაც. იგი თავის თავს აყენებს უსახლკარო მაწანწალის მდგომარეობაში, რომელიც მშიერ-მწყურვალი, უთავშესაფრო დაეხეტება ქვეყნად. მას ყოველ ნაბიჯზე სასიკვდილო საფრთხე ელის. მარტოობა და სატრფოზე დარდი ჩაგრავს მის სულს. მაგრამ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე აღასრულოს თავისი ვალი. ეს გარდაქმნის ავთანდილის სულიერ სახეს, ახლა თვით ბუნება გაოცებულია მისი გმირობით. მისი სიმღერა რომ შემოესმით, სმენად მხეცნი მოვიდიან, წყლით ქვანიცა გამოსხდიან და ავთანდილთან ერთად სტირიან.

ავთანდილის მორალური სახე განსაკუთრებული სიმძლავრით ასახულია მის ანდერძში. მეგობრის საძებნელად რომ მიდის, ავთანდილი სწერს როსტევან მეფეს:

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ
ამა ჩემსა განზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს
მოყვარესა მოყვარულსა;
. . . . . . .
რა უარეა მამაცსა
ომშიგან პირისმხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა
და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა!
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი,
სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!

ავთანდილის სიბრძნე აქტიურია, ამაშია მისი განმასხვავებელი ნიშანი. ავთანდილის მიზანია ბოროტების აქტიურად დაძლევა, მასთან ბრძოლა. ამიტომ იგი მამაცი, უშიშარი, ჭირთა ამტანია. „წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა, არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“. — ამბობს იგი და ამ წესს საქმით ასრულებს.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ავთანდილი მხოლოდ უშიშარი მეომარი, ბრძენი და თავისი მაღალი იდეალების უმწიკვლო მსახურია. მისი ქცევა ყოველთვის როდი ეთანხმება იმ მაღალ მისწრაფებებს, რომლებითაც იგი შეპყრობილია. გმირების იდეალურ მისწრაფებებს რომ გვიხატავს, რუსთაველი ამავე დროს არ გაურბის ცხოვრების სიმართლეს და არ ჩქმალავს მის ჩრდილოვან მხარეებს. ეს გარემოება არაიშვიათად ჩიხში აქცევს ზოგიერთ ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებიც სწორხაზოვნად მსჯელობენ და ფერწერაში მხოლოდ ორ ფერს — თეთრსა და შავს ცნობენ.

მართლაც, ავთანდილის ზოგიერთი ქცევა ეწინააღმდეგება მის იდეალებს. მეგობრობის რაინდი და თინათინის ერთგული მიჯნური, იგი არაერთხელ გამოთქვამს თავის ვასალურ ერთგულებას როსტევან მეფისადმი, რომელსაც თავის მხრივ მზე და მთვარე ამოსდის თავის რჩეულზე. მაგრამ პირველად რომ მიდის ტარიელის საძებნელად, ავთანდილი პირდაპირ ატყუებს როსტევანს, ამასთან ამ მოტყუებას სდევს ხანგრძლივი მისტიფიკაცია. მეორედ წასვლის წინ ავთანდილი ცდილობს მოისყიდოს მეფის ვეზირი, შემდეგ თვითნებურად ტოვებს ამირსპასალარის პოსტს.

მაგრამ ყველაზე საგულისხმოა მისი კავშირი ფატმანთან. ვერ ხედავს რა გამოსავალს თავისი ძნელი მდგომარეობიდან, ავთანდილი ივიწყებს სატრფოს, ფატმანის საყვარელი ხდება და მისი წაქეზებით კლავს ჭაშნაგირს და მის უდანაშაულო მცველებს. თვით რუსთაველი გაკვირვებულია თავისი გმირის საოცარი საქციელით. „ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა“, — ამბობს იგი.

ამრიგად, ავთანდილის სახე სრულიადაც არ არის ხატივით წმიდა. ეს წინააღმდეგობრივი ხასიათია, აღსავსე მიწიერი ადამიანური ვნებებით, იგი მაღალ იდეას ემსახურება, მაგრამ როდი მოსწყვეტია დედამიწას, რომელმაც იგი შობა.

ხოლო დედამიწა, რომელმაც იგი შობა, აღსავსეა საშინელებით. ინდოელები რუსთაველის პოემაში ეომებიან ხატაელებს, ტარიელი — როსტევანის ამალას, ქაჯებს, დევებს, ავთანდილი — მეკობრეებს, ჭაშნაგირს და მის მსახურთ, ფრიდონი — საკუთარ ბიძას და მის ვაჟებს, ფატმანის მსახურნი ზღვაში ახრჩობენ ნესტან-დარეჯანის მომტაცებლებს, და მთელი ეს სისხლიანი ეპოპეა მთავრდება უმაგალითო ჟლეტით ქაჯეთის ციხეში. შუასაუკუნეობრივი მხეცობის სამყარო გვიცქერს პოემის ფურცლებიდან. სიცრუე, ვერაგობა, ორგულობა, ანგარება, სიმხდალე, ფიცის გატეხა ემატება ამ დუხჭირი სამყაროს სურათს, რომელშიც ცხოვრობენ პოემის გმირები, გატაცებულნი სულიერი სრულყოფისადმი მისწრაფებით და ამავე დროს შეპყრობილნი იმ ხანის ყველა სენით, რომელმაც ისინი წარმოშვა.

თუ ავთანდილი ბოროტების დაჯერებული და აქტიური მოწინააღმდეგეა, სამაგიეროდ მისი მეგობარი ტარიელი, პოემის ცენტრალური გმირი, რომელიც გატეხა მრავალმა ჭირმა, კარგავს სიცოცხლის ნებისყოფას და ხდება მიჯნური იმ გაგებით, რომლითაც ეს სიტყვა შუასაუკუნეობრივ აღმოსავლეთში ესმოდათ. „მიჯნური“ არაბული სიტყვის „მეჯნუნის“ ქართული ნაირსახეობაა, რაც ნიშნავს: სიყვარულით გახელებულს, გამძაგებული სიყვარულით შეპყრობილს. გარემო სამყაროს უსამართლობით დაჩაგრული შუასაუკუნეობრივი ფანტაზია სიყვარულში ეძებდა ექსტაზის, ყოფიერებისაგან განდგომის იმ მდგომარეობას, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას მისცემდა გასცილებოდა თავისი ადამიანური უნარის ფარგლებს და შეხებოდა სამყაროს შეურყვნელ საწყისებს. მიჯნური, რომელიც ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას იმყარებოდა, თავისი სიყვარულის ობიექტისაგან ქმნიდა თაყვანისცემის უაღრესად იდეალიზებულ საგანს, რომელთანაც შეერთება მისთვის, არსებითად, შეუძლებელი ხდებოდა. ჩვეულებრივად მიჯნური ადამიანებს გაურბოდა, უდაბნოში დაეხეტებოდა გარეულ მხეცებს შორის და თანდათან იქცეოდა რეალური ცხოვრებისაგან განდგომილ შმაგად.

რუსთაველიც ხოტბას ასხამს მიჯნურებს, იგი პოემის შესავალში თავის თავსაც მიჯნურს უწოდებს. მაგრამ მისი იდეალური მიჯნური რეალურ ცხოვრებას როდი განუდგება. პირიქით, ჭეშმარიტი სიყვარული, რუსთაველის გაგებით, აღამაღლებს ადამიანს, აღაფრთოვანებს მას, ამდიდრებს მაღალი მორალური თვისებებით, ძალას მატებს ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლაში.

ტარიელი, ვეფხისტყაოსანი რაინდი, თავისი ცხოვრების დასაწყისში მრავალმხრივ ჰგავს ავთანდილს. იგი ეწევა კარისკაცის ენერგიულ მოღვაწეობას და სჩადის ურიცხვ სამხედრო გმირობას. მეფის ასულ ნესტან-დარეჯანისადმი სიყვარული წარმოადგენს მისი სიცოცხლისა და მოქმედების აღმძვრელ ძალას, მრავალი მისი გმირობის მიზეზს. ნესტან-დარეჯანის მოტაცების შემდეგ ტარიელი ათი წლის განმავლობაში დაეძებს თავის სატრფოს, იჩენს მგზნებარე ენერგიას ბედის უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ძებნა ამაოა, იმედები თანდათან ქრება, ბრძოლის ნებისყოფა სუსტდება, ტარიელი უდაბნოდ გაიჭრება და სასოწარკვეთილებას ეძლევა. თავისი სასოწარკვეთილების აპოგეაში იგი ცოცხლობს სიკვდილისა და თავის სატრფოსთან იმ ქვეყნად შეყრის მგზნებარე იმედით. ავთანდილის შეგონების პასუხად იგი აცხადებს:

ამას მოკვდავი ვილოცავ,
აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი
მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ,
კვლა რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ,
მიწანი მომაყარენით!
საყვარელმან საყვარელი
ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!
მისკენ მივალ მხიარული,
მერმე მანცა ჩემ კერძ იროს,
მივეგებვი, მომეგებოს,
ატირდეს და ამატიროს.
ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა,
რა გინდ რა ვინ გივაზიროს!

ქაჯეთის ციხის ტყვეობაში მყოფი მეფის ასული ნესტან-დარეჯანიც ახლო დგას ამ მდგომარეობასთან, ისიც ცოცხლობს მიჯნურთან იმ ქვეყნად სასიხარულო შეხვედრის მოლოდინით. თავის განთქმულ წერილში ტარიელისადმი იგი წერს:

მზე უშენოდ ვერ იქმნების,
რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეხელ
მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მადვა გსახო,
განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,
სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

ამრიგად, ისინი მიდიან მიწიერი ყოფიერების სრულ უარყოფამდე. ხილული სამყაროს საგნები მათთვის რეალურ ფორმებს კარგავენ და მარადიული ცხოვრების სიმბოლოებად იქცევიან. ვეფხის ტყავი ტარიელისათვის ხდება მისი ვეფხისებრი სატრფოს სიმბოლოდ, რიდე ნესტან-დარეჯანისათვის — ტარიელის სიყვარულის სიმბოლოდ. ძუ ვეფხის სახითაც კი, რომელსაც ტარიელი ნადირობის დროს კლავს, მას დაკარგული სატრფო ელანდება:

ხრმალი გავტყორცე, გარდვიჭერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა,
ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მილრინვიდა და მაწყენდა
ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა,
ველარ გავუძელ, იგიცა
მოვკალ გულითა ხელითა.

დიდმნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმქვეყნიური ყოფის რწმენა, რომელიც რუსთაველის ამ მიჯნურებს ახასიათებს, მოკლებულია ჩვეულებრივ საეკლესიო-რელიგიურ სახეს. ღმერთი რუსთაველისათვის იმდენად რელიგიური ცნება კი არ არის, რამდენადაც ფილოსოფიური, ეს მხოლოდ პირობითი აღნიშვნაა მძლავრი ცხოველმყოფელი საწყისისა, რომელიც ბუნებით კეთილია და პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ადამიანის არსებობის მანკიერებასთან.

ცდილობს რა გასცდეს ადამიანის შემეცნების საზღვარს, მიჯნური ფიქრით მიისწრაფვის სამყაროს სივრცეში, ვარსკვლავთა და ცთომილთა სამყაროში, რომლებთანაც ადამიანის ნათესაობა ესოდენ ძლიერ გამოხატულია ავთანდილის ცნობილ ასტრალურ ჰიმნში, აგრეთვე ნესტან-დარეჯანის წერილში. პითაგორას „სამყაროს ჰარმონია“ და ნეოპლატონიკოსთა იდეები, როგორც ეს ლიტერატურათმცოდნეობაში იყო აღნიშნული, რუსთაველის ნაწარმოებში გაცილებით უფრო მკაფიოდ აისახა, ვიდრე მისი თანამედროვე რელიგიური ქრისტიანული კონცეპცია. ტყუილად კი არ განიცადა რუსთაველის პოემამ ძველად ესოდენი დევნა ქართველი სამღვდელოების მხრივ.

ტარიელს თითქმის სიგიჟის მდგომარეობაში რომ ნახავს, ავთანდილი მას ასეთი სიტყვებით მიმართავს:

... რაშიგან ხარ,
შენ საქმეხა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა,
ვის სახმილი არა სწვავსა?
ვის უქმნია შენი მსგავსი
სხვათა კაცთა ნათესავსა;
რად სატანას წაუღიხარ,
რად მოიკლავ ნებით თავსა?

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი
აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური,
სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან
ჩავარდების კაცი ჭირსა.

ნეგატიური სიმართლე სამყაროს მანკიერების უარყოფისა, რომლის მატარებელიც ტარიელია, აქ ეჯახება ავთანდილის პოზიტიურ სიმართლეს — სიცოცხლის დამამკვიდრებელ სიმართლეს, ბრძოლის სიმართლეს, ბოროტების აქტიურად დაძლევის სიმართლეს. მრავალი განსაცდელის შემდეგ ავთანდილის სიმართლე იმარჯვებს. გონების, მეგობრობისა და სიყვარულის ძალა ზეიმობს: ტარიელი ავთანდილის დახმარებით უბრუნდება ცხოვრებას და მასში პოულობს ყოველივე იმას, რაც საუკუნოდ დაკარგულად მიაჩნდა.

არსებითად, რუსთაველი ილაშქრებს პასივიზმის, საუკუნეებით განმტკიცებული მისი შარავანდედის წინააღმდეგ და მოუწოდებს ადამიანს სამართლიანობისათვის აქტიური ბრძოლისაკენ. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსთაველის-მოაზროვნის პოეტური გმირობა, ჭეშმარიტად ეროვნული მნიშვნელობის გმირობა. ქართველ ხალხს იოლი ბედი როდი ხვდა. საუკუნეთა მანძილზე მან განიცადა ისეთი შერყევანი, რომლებმაც მისგან მოითხოვეს მთელი ზნეობრივი ძალების უდიდესი დაძაბვა. აღმოსავლეთის დესპოტიებთან უთანასწორო ბრძოლა, რომელიც ლამის ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებით დამთავრდა, სიცოცხლის დამამკვიდრებელ სიტყვას მოითხოვდა.

რუსთაველის სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ მან უარი თქვა სიცოცხლის დამამკვიდრებელი თავისი სიმართლის სწორხაზოვან ქადაგებაზე ბოროტების პასიური უარყოფის სიმართლესთან, ნეგატიურ სიმართლესთან დაუპირისპირებლად. ბოროტების უარყოფის პასიური სიმართლე ცალკეული პიროვნების სფეროში წყდებოდა და მის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაშინ, როცა რუსთაველის მამაცური ხმა ერთიანობისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ცხოვრებამ ცხადყო, რომ რუსთაველის სიმართლე საერთო-სახალხო სიმართლე იყო, ხოლო რუსთაველის სიტყვა მტკიცედ შევიდა ქართველის ცნობიერებაში და საერთო-სახალხო ავტორიტეტი მოიპოვა.

რუსთაველს ჩვენი შექება არ ესაჭიროება, ვინაიდან დრომ და ადამიანებმა მისი წიგნი უკვდავი გახადეს. მას არც ბოდიშები ესაჭიროება იმ შემთხვევაში, როცა მისი გმირების მორალური თავისებურებანი ჩვენს საკუთარ წარმოდგენებს არ შეესაბამებიან. მაგრამ რუსთაველს ახსნა და განმარტება ესაჭიროება. საჭიროა, რომ რუსმა მკითხველმა, რომელიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის თავისებურებებს არ იცნობს, რუსთაველის პოემა მთელი შესაძლო სისრულით აღიქვას,



ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა ქარხანამ გამოუშვა 30-ზე მეტი ახალი ჩაისსაკრეფი მანქანა ჩუ-1,6. **ს უ რ ა თ ზ ე:** ჩაისსაკრეფი მანქანები ჩუ-1,6 ქარხნის ეზოში მეჩაიეობის კოლმეურნეობებში გაგზავნის წინ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# სკოლა და ცხოვრება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საკავშირო ალკკ XIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში დააყენა საშუალო და უმაღლესი სკოლების მუშაობის ახლებურად წარმართვის უაღრესად აქტუალური საკითხები. საბჭოთა სკოლის, განათლების ორგანოების წინაშე დადგა გადაუდებელი ამოცანა — მოსწავლე ახალგაზრდობას არა მარტო საფუძვლიანი ცოდნა მისცენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, არამედ მტკიცედ ჩაუნერგონ მას შრომითი ჩვევები, გააცნონ სოფლის მეურნეობისა და წარმოების სხვადასხვა დარგები, მისცენ გარკვეული პროფესია და მოამზადონ ცხოვრებისათვის, რათა მან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შეძლოს სასარგებლო შრომაში ჩაბმა.

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შემოღებამ, სასწავლო კაბინეტებსა და სახელოსნოებში მატერიალური ბაზის განმტკიცებამ ერთგვარად უკვე შეუწყო ხელი მოსწავლეთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვას.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ხაშურის რაიონის ალისა და ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლების საქმიანობა. აღნიშნულ სკოლებში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლებისას გამოყენებულია არა მარტო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, არამედ თვით ადგილობრივი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამ სკოლების VIII კლასის მოსწავლეები უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პრაქტიკული მუშაობით დახელოვნდნენ მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოყენებაში, შეისწავლეს ბოსტნეული, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოვლის ყველა პროცესი.

ძველი სენაკის საშუალო სკოლამ მოსწავლეთაგან 40 კვალიფიციური მეხბოელი აღზარდა. ბორჯომის რაიონის ტაძრისისა და საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მეცხოველეობის ფერმებთან. აქ პრაქტიკული მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა შეიძინეს ისეთი სასარგებლო ცოდნა-ჩვევები, როგორიც არის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის საკვები რაციონის შედგენა, ცხოველის ცოცხალი წონის გამონაგარიშება გაზომვით, ცხოველთა ავადმყოფობისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები და სხვ.

ბევრ სკოლაში მოსწავლეები ეწევიან წმინდა საცდელი, შემოქმედებითი ხასიათის მუშაობას და ახდენენ მიღწეული შედეგების განზოგადებას.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში 1957 წელს კარგად მოაწყეს მოსწავლეთა საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმული იყო ზესტაფონის რაიონში 2.987 მოსწავლე, დუშეთის რაიონში — 2.689, ტყიბულის რაიონში — 2.585 და საგარეჯოს რაიონში — 2.456 მოსწავლე.

ჩაის პლანტაციებში ბეჯითი და ნაყოფიერი მუშაობით თავი ისახელეს მახარაძისა და ქობულეთის რაიონების მოსწავლეებმა. მახარაძის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობამ მოკრიფა 2.750 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო ქობულეთის რაიონის მოსწავლეებმა 720 ტონა, დიდძალი სამუშაო შეასრულეს აგრეთვე ტყიბულის, ცხაკაიას და გორის რაიონების სკოლებმა ჩაის, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების გათოხნა-გამარგვლისა და მოსავლის აღების საქმეში.

საწარმოო პრაქტიკის დროს მოსწავლეებმა გარკვეული შრომითი ჩვევების შეძენასთან ერთად შეძლეს შეექმნათ საზოგადოებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოვლათი, რასაც ნათლად მეტყველებს თუნდაც ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ციფრი: გორის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამოიმუშავეს 50.000 შრომადღე, კასპის რაიონის მოსწავლეებმა — 34.170, გურჯაანის — 19.199, ქარელის — 12.510, დუშეთის რაიონის მოსწავლეებმა — 11.400 შრომადღე.

მოსწავლეთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი ტიპის სკოლებში — ე. წ. სკოლა-ინტერნატებში.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის სადურგლო სახელოსნოში მოსწავლეები საკუთარი ხელით ამზადებენ ინტერნატისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთებს — საყვავილე ყუთებს, ტანისამოსის ჩამოსაკიდებლებს, სურათის ჩარჩოებს, გალიებს, სკამებს, ეწევიან სასკოლო ინვენტარის შეკეთებას.

ბეთანიის სკოლა-ინტერნატში შექმნილია სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი წრეები. წრის წევრები ასრულებენ ინტერნატის აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შეკეთებას.

დიდი ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა თვითმომსახურებას კოჯრის, თეთრი წყაროს და ბროწეულას სკოლა-ინტერნატებში. აქ აღსაზრდელები თვითონ ალაგებენ საწოლ და სასადილო ოთახებს, ეხმარებიან მზარეულებს კერძების მომზადებაში, ამწვანებენ სკოლის ეზოს.

გორდის სკოლა-ინტერნატში ბავშვები საინტერესო, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და დამხმარე მეურნეობაში. გასულ წელს გორდის სკოლა-ინტერნატმა სასწავლო ნაკვეთიდან და დამხმარე მეურნეობიდან მიიღო სიმინდის, კარტოფილის, კომბოსტოს, პამიდორის, კიტრის და ხილის უხვი მოსავალი, აგრეთვე 5.500-მდე კილოგრამი რძის პროდუქტები.

უკრაინის სსრ სკოლების გამოცდილების საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკის 19 საშუალო სკოლაში 1956-1957 სასწავლო წლიდან საცდელად შეიქმნა კლასები საწარმოო სწავლებით. ეს კლასები დაკომპლექტებულია მოსწავლეებით, რომლებსაც სურვილი აქვთ დაეუფლონ ამა თუ იმ სპეციალობას. აღნიშნულ სკოლებში ახლომდებარე საწარმოო ბაზის შესაბამისად შემოღებულია სულ 10 სპეციალობის სწავლება. ეს სპეციალობებია: სახარატო საქმე, ელექტრო-საზეინკლო, სადურგლო-საავეჯო, საზეინკლო საქმე, სატრაქტორო საქმე, ჩაის კულტურის აგროტექნიკა, მეცხოველეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, საფეიქრო საქმე და ელექტროსამონტაჟო საქმე. ამ სპეციალობებში პროგრამები შედგენილია იმ ვარაუდით, რომ სამი წლის მანძილზე საწარმოო სწავლების გავლით კურსდამთავრებული შეიარაღდეს გარკვეული ცოდნა-ჩვევებით და შეძლოს მუშაობა არჩეულ სპეციალობაში. ამ ამოცანის შესასრულებლად სასწავლო წლის მანძილზე კვირაში ერთი დღე (5 სასწავლო საათი) მთლიანად ხმარდება საწარმოო სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას უშუალოდ წარმოებაში, საამქროებში.

საწარმოო სწავლების კლასებში გაერთიანებული მოსწავლეები დიდ ინტერესს ამჟღავნებენ არჩეული სპეციალობის დაუფლებისადმი. ყველა ამ კლასში შესამჩნევია შრომის გამაკეთილშობილებელი გავლენა, რამაც უწინარეს ყოვლისა გამოხატულება ჰპოვა დისციპლინის საგრძნობლად გაუმჯობესებით და მოსწავლეთა წარმატების ამაღლებით.

იმ მიზნით, რომ დასახული ყოფილიყო ახალი გზები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ საკავშირო ალკკ XIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში წამოყენებული ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი. ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ორი სხდომა; რესპუბლიკის სკოლებსა და განათლების ორგანოებს დაევალათ მოაწყონ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ფართო განხილვა, მუშავდება პრაქტიკული წინადადებანი მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, ნორჩი თაობის აღზრდის სისტემის გარდაქმნის საკითხებზე; განათლების მუშაკთა ჯგუფი მივლინებულ იქნა სტავროპოლის მხარეში ამ მხარის სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში არსებული გამოცდილების გასაცნობად და გადმოსანერგად.

განზრახულია მომავალი სასწავლო წლიდან გაზრდილ იქნას საწარმოო სწავლების კლასების რიცხვი და ფართოდ გავრცელდეს სტავროპოლელთა გამოცდილება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებსა და საწარმოებში მოსწავლეთა კომპლექსური ბრიგადების ორგანიზაციის საქმეში. ამ ახალი წამოწყების მთავარი მოთავენი, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები უნდა გახდნენ.

ახლა მთელი რესპუბლიკა ეხმაურება გუშინ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ქობულეთელთა მიმართვას ყველა სკოლის ერთცვლიან მეცადინეობაზე გადაყვანის შესახებ, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში.

ყველა ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სკოლის მჭიდროდ დაახლოებას ცხოვრებასთან, განათლების სისტემის გარდაქმნას იმგვარად, რომ საბჭოთა სკოლამ შეძლოს მისცეს სამშობლოს ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული შრომისუნარიანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მხნედ ჩადგება კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

**ელ. აგლაძე,**
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

# 25 წელი საკოლმეურნეო ბრიგადის სათავეში

საკოლმეურნეო წარმოების ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანია მახარაძის რაიონში. მათ შორის საყურადღებოა სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის იასონ გუჯაბიძის ნაყოფიერი მუშაობა. მან კოლმეურნეობის არსებობის პირველ წლებშივე გაითქვა სახელი. 1931 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა „საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნის“ სამკერდე ნიშნით. კოლმეურნეებმა იასონი მერგოლურად აირჩიეს, ხოლო შემდეგ — ბრიგადირად. ეს იყო 1932 წელს. მას შემდეგ ი. გუჯაბიძე ენერგიის დაუზოგავად მუშაობს ამ პოსტზე.



ნატანებელი მოხუცი კოლმეურნე ა. ნაკაიძე ასე იგონებს იასონის მუშაობის პირველ წლებს:

— კოლმეურნეობის არსებობის პირველი წელია. თესვის კამპანია გაგვიჭიანურდა. მაშინ ტრაქტორზე წარმოდგენაც არ გვქონდა. იასონმა მობილიზაცია გაუკეთა გამწევ ძალას, შემოიკრიბა ბრიგადის აქტივი და სადღეღამისო ხვნა-თესვა მოაწყო, თესვა 6 დღეში დავამთავრეთ ნაცვლად 12 დღისა. ასეთი მაგალითებით აღსავსეა იასონის მუშაობის ოცდახუთი წელი.

ბრიგადა, რომელსაც ი. გუჯაბიძე ხელმძღვანელობს, ცნობილია ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლით. 1948 წლის სეზონში ბრიგადამ მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 6 ტონა ჩაის ფოთოლი მიიღო.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ღვაწლმოსილი ბრიგადირის შრომა. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და რამდენიმე მედლით.

აღსანიშნავია, რომ იასონმა ბრიგადის წევრებთან ერთად თავიდანვე თავის ოჯახსაც ჩაუნერგა კოლმეურნეობის დიდი სიყვარული. იასონი ექვსი შვილის მამაა. მისი შვილები ყველანი არტელის საუკეთესო მშენებლები არიან. სახელოვანი მეჩაიე თამარი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მეორე შვილი — ნათელა ყოველწლობით ხუთ ტონაზე მეტ ფოთოლს კრეფს და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. იასონის ვაჟიშვილი გიორგი ამჟამად სოფელ ხვარბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და წარმატებით უძღვება კოლმეურნეობას, ამავე დროს დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში.

იასონის ბრიგადის სიამაყეა „მეგობრობის ბაღი“, რომელსაც ბრიგადის წევრები უვლიან. ეს ბაღი ნატანებელმა კოლმეურნეებმა თავიანთი უკრაინელი და სომეხი მეგობრების პატივსაცემად გააშენეს.

ი. გუჯაბიძის ბრიგადამ შარშან 68 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი სიმინდი მიიღო. წელს კი 75 ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფს, ჰექტარზე 25 ცენტნერ სიმინდს მიიღებს და 500 ათას ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს დაამზადებს.

ამ დღეებში ნატანებელმა მშრომელებმა იასონ გუჯაბიძეს ბრიგადირად მუშაობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს. საიუბილეო საღამო ნამდვილ ზეიმს წარმოადგენდა.

მოხსენებით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ ვრცლად ილაპარაკა იუბილარის მაღალნაყოფიერ მუშაობაზე, მის დამსახურებაზე არტელის აღორძინების საქმეში.

საიუბილეო საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ ბრიგადირი ი. ხურციძე, კოლმეურნე ე. გოგოტიშვილი და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს ბრიგადირის მუშაობის შესანიშნავ მეთოდებზე.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

დასასრულ იუბილარმა ი. გუჯაბიძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და აღუთქვა, რომ კვლავაც ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებს საკოლმეურნეო წარმოებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ი. გუჯაბიძე შვილიშვილებთან.

ფოტო ა. აბულაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი ჩინური მსუბუქი ავტომობილი

პეკინი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ დღის მეორე ნახევარში ჩანჩუნის საავტომობილო ქარხნიდან გამოვიდა დუნფენის („აღმოსავლეთის ქარი") მარკის პირველი სამამულო ექვსადგილიანი მსუბუქი ავტომანქანა.

როგორც ქარხნის დირექტორის მოადგილემ მენ შაო-ნუნმა განაცხადა, ავტომობილის გამოცდამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა.

70 ცხენძალის სიმძლავრის ძრავა გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 128 კილომეტრი საათში. 100 კილომეტრზე იგი ხარჯავს 9-10 ლიტრ ბენზინს.

ქარხნის კოლექტივი ავტომობილს გზავნის პეკინში ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის მე-2 სესიის საჩუქრად.

## პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის სრულიად ინდოეთის კომიტეტის სესია

### ჯ. ნერუს გამოსვლა

დელი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის სრულიად ინდოეთის კომიტეტის სამი დღის სესიაზე, რომელიც დელში მიმდინარეობს, გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელმაც ილაპარაკა პარტიაში შექმნილ მდგომარეობაზე.

„ტაიმს ოფ ინდია" წერს, რომ ნერუმ მოითხოვა გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა „კონგრესი გაიწმინდოს რეაქციისა და კომუნალიზმისაგან" (კუთხური ტენდენციები. — რედ).

პარტიამ, თქვა ნერუმ, განაცხადა, რომ სწამს სოციალიზმი და სეკულარიზმი (საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე რელიგიური გავლენისაგან განთავისუფლება. — რედ). მაგრამ არის შეშფოთების მიზეზები კონგრესის რიგებში რევივალიზმთან დაკავშირებით (ტენდენცია აღორძინდეს კასტურობა და სხვა რელიგიებისადმი ინდუსების შეუწყნარებლობა. — რედ). ნერუმ დაგმო ბელადობის ტენდენციები პარტიაში. მან განაცხადა აგრეთვე, რომ კონგრესის მოღვაწეობაში ყველაზე მეტად იმედის გამაცრუებელი ფაქტორია კონგრესის წევრთა უთანხმოება. მან დაგმო ნათელი და გულწრფელი რწმენის ნაკლებობა ზოგიერთ კონგრესისტთა შორის, რომ შესაძლებელია განხორციელდეს პარტიის ამოცანა — აშენდეს სოციალისტური ნიმუშის საზოგადოება.

პრემიერ-მინისტრმა გაილაშქრა „სახელმწიფო სოციალიზმის" წინააღმდეგ. მისი აზრით, საკუთრებას უნდა ფლობდნენ კოოპერატივები, რომლებსაც კონტროლს უწევს მთავრობა.

პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის სრულიად ინდოეთის კომიტეტის მეორე დახურულ სხდომაზე, რომელზეც განიხილავდნენ ინდოეთის მეორე ხუთწლიან გეგმას, ნერუმ გაილაშქრა პარტიის ცალკეულ წევრთა ტენდენციის წინააღმდეგ გააზვიადონ სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია ხუთწლიანი გეგმის შესრულებასთან. მან ხაზგასმით აღნიშნა ინდოეთის მთავრობის მისწრაფება შეასრულოს მეორე ხუთწლიანი გეგმა.

## საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს განცხადება

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სტოკჰოლმში მოწვეულია განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესი. მშვიდობის ეროვნული საბჭო, აღნიშნულია ამ განცხადებაში, იწონებს განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესის მოწვევას.

აღნიშნავს რა, რომ ატომური ომისათვის მზადება, ატომგულის იარაღის გამოცდის განგრძობა და ატომური რაკეტების გასაშვები დანადგარების განლაგება ხელს უწყობს „ცივი ომის" ვითარების შენარჩუნებას, ხელს უშლის შეთანხმების მიღწევას განიარაღების შესახებ და ძირს უთხრის უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესაძლებლობას, მშვიდობის ეროვნული საბჭო აცხადებს: „შეგნებული აქვს რა მოახლოებული საფრთხე, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ უნდა მოითხოვოს გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღება განიარაღების მისაღწევად, უშიშროების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შესანელებლად და საერთაშორისო თანამშრომლობის დასამყარებლად. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობამ ამ მიზნით უნდა გააერთიანოს მთელი თავისი ძალები".

სტოკჰოლმის კონგრესი, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ყველა ტენდენციისა და ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა შეხედულებანი, აგრეთვე განვსაზღვროთ საერთო მიზნები.

საფრანგეთმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ კონგრესში, რათა დასახოს გადაწყვეტილებანი, რომელთა მეოხებით საფრანგეთი შეძლებს დაიცვას თავისი ტერიტორია, უზრუნველყოს თავისი უშიშროება და მოიპოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მშვიდობის ინტერესებისათვის.

იმ მომენტში, როცა ალჟირში ბობოქრობს გაფთრებული ომი, საფრანგეთმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კონგრესში, რათა დაარწმუნოს მსოფლიო საზოგადოებრიობა ფრანგი ხალხის მშვიდობისმოყვარეობაში.

მშვიდობის ეროვნული საბჭო მოუწოდებს საფრანგეთის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს, პროფკავშირულ, რელიგიურ ორგანიზაციებს, სასწავლებლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ წრეებს მიიღონ მონაწილეობა სტოკჰოლმის კონგრესისათვის ერთობლივ მზადებაში.

## ლიბანის ამბები

ბეირუთი, 12 მაისი. (საკდესი). შინაპოლიტიკური მდგომარეობა ლიბანში კვლავ მწვავდება. ლიბანის მთელ რიგ დიდ ქალაქებში ეწყობა გაფიცვები. ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მშრომელთა გაფიცვას საყოველთაო ხასიათი აქვს. არ მუშაობენ საწარმოები, დახურულია მაღაზიები, დარღვეულია ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. ქალაქის ქუჩებში გრძელდება დემონსტრაციები. ბეირუთში დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის რამდენიმე ავტომანქანას, აგრეთვე ამერიკის ბიბლიოთეკის შენობას. მთელ რიგ ადგილებში შეტაკება მოხდა დემონსტრაციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის. არიან მოკლულები და დაჭრილები.

განსაკუთრებით ძლიერი მღელვარებაა ტრიპოლში. ქალაქში დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს შენობას. ქალაქი მოწყვეტილია ლიბანის დანარჩენი ნაწილისაგან იმის გამო, რომ ააფეთქეს ხიდი ტრიპოლსა და ბეირუთს შორის. იქ თავმოყრილია ჯარების დიდი ქვეგანაყოფები.

გუშინ გაიმართა ლიბანის მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა ლიბანის შინაპოლიტიკური მდგომარეობა. ბეირუთში შემოღებულია კომენდანტის საათი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე თავმოყრილია ჯარები და ჯავშნიანი მანქანები. ლიბანის ხელისუფლებმა დაკეტეს საზღვარი ლიბანსა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონს შორის.

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ლიბანში შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების მიზეზია ლიბანის ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციების სულ უფრო მზარდი უკმაყოფილება ლიბანის ახლანდელი პოლიტიკის გამო. კერძოდ, ოპოზიცია ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ კ. შამუნს გაუგრძელდეს რწმუნებანი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე, რომელთა ვადა, კონსტიტუციის მიხედვით, წელს გადის. ლიბანში გაფიცვებისა და დემონსტრაციების უშუალო საბაბი იყო ცნობილი ლიბანელი საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „ტელეგრაფის" მთავარი რედაქტორისა და მფლობელის ნასიბ მეტნის ავაზაკური მკვლელობა, რომელიც ამ დღეებში მოხდა და რომელმაც ლიბანის საზოგადოებრიობის მრისხანე გულისწყრომა გამოიწვია.

დამასკო, 12 მაისი. (საკდესი). ადგილობრივი პრესის ყურადღება მიპყრობილია ლიბანის ამბებზე. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლიბანში შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავება შედეგი იყო ლიბანის ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკის ანტიხალხური კურსისა და, კერძოდ, მთავრობის მიერ „ეიზენჰაუერის დოქტრინის" მიღებისა. კომენტარს უკეთებს რა ლიბანის ამბებს, გაზეთი „ან-ნასრი" წერს:

ვერაფერი ვერ შეაჩერებს ლიბანელი ხალხის ბრძოლას ლიბანში უცხოელ იმპერიალისტთა ბატონობის დამყარების ცდების წინააღმდეგ.

## არჩევნები საბერძნეთში

ათენი, 13 მაისი. (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 12 მაისის 21 საათისათვის მოსკოვის დროით 8.828 საარჩევნო უბნიდან 8.687 საარჩევნო უბანში ხმა მისცა 3.796.050 ამომრჩეველმა. „ეროვნული რადიკალური კავშირის პარტიამ" მიიღო 1.559.997 ხმა, ანუ 41,1 პროცენტი, ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ — 926.211 ხმა, ანუ 24,4 პროცენტი, ლიბერალებმა — 787.061 ხმა, ანუ 20,7 პროცენტი, პროგრესისტულმა აგრარულ-დემოკრატიულმა კავშირმა — 404,050 ხმა, ანუ 10,6 პროცენტი, სახალხო პარტიის კავშირმა — 112,380 ხმა, ანუ 3 პროცენტი.

## ომანში ინგლისის აგრესიის წინააღმდეგ

კაირო, 13 მაისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ომანის წარმომადგენლობამ კაიროში სთხოვა არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალურ სამდივნოს დააყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უახლოესი სესიის განსახილველად ომანის მდგომარეობის საკითხი.

## მალთაყვა—მომავალი კურორტი

მწვანეში ჩაფლულია ქალაქ ფოთის ფაბრიკა-ქარხნების კორპუსები, ახალ სტილზე ნაგები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ქალაქი ახალშენებათა ხარაჩოებშია. უახლოეს ორ-სამ წელიწადში აქ ათობით ახალი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგებობა ჩადგება მწყობრში. მალე მალთაყვაში ფოთს თავისი კეთილმოწყობილი კურორტიც ექნება. კურორტის მშენებლობა გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო და ახლა ფართო ფრონტით ჩაღდება.



რა საკურორტო თვისებების მქონეა მალთაყვა? ამ კითხვაზე საკმაოდ დიდი ხანია დამაჯერებელი, უტყუარი დასკვნები გააკეთეს საქართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, აგრეთვე ადგილობრივმა ექიმებმა.

მალთაყვაში, რომელიც ქალაქ ფოთს ექვსიოდე კილომეტრით არის დაშორებული, ზაფხულის სეზონში საშუალო ტემპერატურა არ აღემატება 21 გრადუსს, მაშინ როცა თვით ფოთში ტემპერატურა 23-24 გრადუსს აღწევს. შავი ზღვის პირის სხვა კურორტებისაგან განსხვავებით აქ ზღვის ტემპერატურა 24-26 გრადუსია, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულში — 30-მდე აღწევს. მზიანობის მხრივ მალთაყვა ჩამოუვარდება მხოლოდ იალტას, მაგრამ სეზონის საერთო მონაცემებით აქ მზიანობა 620 საათია, ხოლო იალტაში — 452 საათი. მალთაყვა ხელსაყრელია ზღვისა და მზის აბაზანების მისაღებად, რასაც ქმნის ზღვის ფსკერის სითბო, წვრილი და მუქი სილის სტრუქტურა. აქაური ჰავის გავლენით უმჯობესდება სისხლის საერთო შემადგენლობა. მალთაყვის ჰავა განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს ჯირკვლებიან ბავშვებზე, აგრეთვე დიდად უწყობს ხელს საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აი ამიტომაც დაიწყო დიდი სამუშაოები მალთაყვა-გრიგოლეთში მისი კურორტად გადაქცევისათვის. ამ სამუშაოებს აწარმოებენ ქ. ფოთისა და ლანჩხუთის რაიონის მშრომლები. მარტო მალთაყვის ზღვისპირა ტერიტორიაზე, რომელსაც 61 ჰექტარი ფართობი უჭირავს, შენდება ტყე-პარკი, სადაც დაირგვება სხვადასხვა ჯიშის წიწვიანი და მარადმწვანე მცენარეები. სულ ტყე-პარკის გაშენებაზე დაიხარჯება 2,5 მილიონი მანეთი.

არც ისე დიდი ხანია, რაც აქ პირველი სამუშაოები დაიწყო, მაგრამ დღეს ბევრი სიახლე უკვე იგრძნობა. შიშველი, ოღრო-ჩოღრო ფართო მინდორი, სადაც ეკალ-ბარდები და ჯაგნარი იყო, ახლა გაწმენდილი და მოსწორებულია. მთელ ფართობს შემოვლებული აქვს მავთულის ლამაზი ღობე, რომლის გასწვრივ 2,1 კილომეტრზე დარგულია ტრიფოლიატი, 2,3 კილომეტრზე კი — ქარსაცავი ზოლი. უახლოეს ხუთ თვეში აქ მთლიანად მორჩებიან პარკის როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი ხეივნების მოწყობას, გაზონებსა და სკვერებში დარგავენ ბუჩქებსა და ყვავილნარებს.

ახლახან დაიწყო მექანიზებული მოსარწყავი ჰების მოწყობა. ზოგიერთი წუმპიანი ღრმულის ამოსავსებად გამოყენებულია 150 ცხენისძალიანი მიწისმწოვი, რომელმაც ორი კილომეტრის მანძილზე უნდა ამოიღოს 20 ათასი კუბმეტრი წყლიანი სილა. მიწისმწოვის მომსახურე ეკიპაჟმა ა. წუწუნავას, ა. სალიას და ი. უჩანეიშვილის შემადგენლობით დღემდე უკვე შეასრულა 7 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო.

მცენარეთა დარგვის სამუშაოებში თავი გამოიჩინეს ო. ხომერიკის და პ. კილაძის ბრიგადებმა, მოწინავე მუშებმა ქ. გოგიჩაიშვილმა, ვ. ილმაშოვამ, ქ. ხორავამ, ე. სუდენკომ და სხვ.

...ლურჯად მოკამკამე ზღვის სანაპიროზე ამაყად აუშრიათ ტანი წიწვიან და მარადმწვანე მცენარეებს. ბაღის შესასვლელთან წამომართულა ლამაზი კოლონადები, [illegible] გიგანტური [illegible]. კვიპაროსისა და ალვის ხეების ჩრდილში მოჩანს ათასადგილიანი მწვანე თეატრი, მწვანეშია ჩაფლული წყლის სადგური, კალათბურთის, ფრენბურთის, საცეკვაო მოედნები, კლუბი, საზაფხულო და საზამთრო კაფე-რესტორანი, დასასვენებელი სახლები... ასეთია მალთაყვის მომავალი ტყე-პარკი, რომლის გეგმა-ჩანახატი შეადგინა საქართველოს სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ.

ეს გეგმა-ჩანახატი მალე ხორცს შეისხამს, სინამდვილედ იქცევა. იგი სილამაზეს შემატებს არა მარტო ფოთს, არამედ შავი ზღვის ისედაც თვალწარმტაც სანაპიროს.

**კ. კომახიძე,**
ფოთის საქალაქო გაზეთ „მეწინავე კოლხიდელის" რედაქტორის მოადგილე.



სურათებზე: ზემოთ — ბრიგადირ პ. კილაძის ხელმძღვანელობით მალთაყვაში რგავენ ზღვის ფიჭვებს; ქვემოთ — კოლხიდის სატყეო მეურნეობის მეტყევე ინჟინრები ო. ნაჭყებია, ა. ტყეშელაშვილი და ოხტატი გ. მურღულია.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

## იაპონიაში ოსაკას ბაზრობაზე

აპრილში ოსაკაში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობას იღებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. საქართველოდან იქ ბევრი ექსპონატი გაიგზავნა. მსოფლიოს ხალხები ამ ბაზრობაზე გაეცნობიან ქართულ ეროვნულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებულ ხის ნაკეთობებს, კერამიკულ, საიუველირო, ძვლის და სადაფის ნაწარმს, ქართულ ღვინოებს, კონიაკებს, ლიქიორებს, საქართველოს მინერალურ წყლებს, ქართული ჩაის პროდუქციას და ხილის კონსერვებს.

## კონკურსი საუკეთესო ნახაზზე

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილების ტრანსპორტის ლაბორატორიამ ამ დღეებში მოაწყო საინტერესო ღონისძიება — თბილისის სკოლების მოსწავლეთა კონკურსი საუკეთესო ნახაზზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა მოსწავლემ. წარმოდგენილ იქნა მრავალი ნახაზი, რომელთაგან საუკეთესოებმა ჯილდოები დაიმსახურეს.

ტრანსპორტის ლაბორატორიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი ქ. გიორგაძე, უკვე მესამედ მოაწყო მოსწავლეთა ნახაზების დათვალიერებისადმი მიძღვნილი კონკურსი. წინა წლებთან შედარებით მიმდინარე საკონკურსო გამოფენა უფრო მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი იყო.

გამოფენის ორგანიზაციაში დიდი დახმარება გაუწია პიონერ-მოსწავლეებს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის კათედრამ.

## ახალი სპექტაკლი

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მიმდინარე სეზონის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ი. ჯავახიშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „ჩრდილი ყვავილებზე".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. ქართველიშვილმა, მხატვრულად გააფორმა გ. მილორავამ, მუსიკა ეკუთვნის ლ. ყარანგოზიშვილს.

როლებს ასრულებენ ლ. ლომია, გ. ებრალიძე, რ. ქინქლაძე, გ. ყურაშვილი, ე. გვაზავა, მ. ტოგონიძე, ლ. პარფენოვი, რ. ქართველიშვილი, მ. კოკაია და სხვები.

## ნორჩი მუსიკოსები

ახალციხე. (საკ. კორ.). სამი წელია, რაც ქ. ახალციხეში არსებობს ბავშვთა მუსიკალური სკოლა, სადაც 185 მოსწავლე ეუფლება მუსიკალურ ცოდნას.

სკოლამ უკვე მოაწყო 4 აკადემიური კონცერტი. მეოთხე კონცერტში, რომელიც გაიმართა ახალციხის კულტურის სახლში, 60 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

წარმატება ხვდა პირველი კლასის მოსწავლეს გურამ მესხიძეს, რომელმაც მოხდენილად შეასრულა კურტიდის „დილა" და „სულიკო". მესამე კლასის მოსწავლემ ს. მარტიკიანმა კარგად შეასრულა გრიბოედოვის „ვალსი". ასევე წარმატებით გამოვიდნენ კონცერტზე მოსწავლეები მ. დობორჯგინიძე, ს. აკოფიანი, გ. ელისაშვილი და სხვ.

## თბილისის დინამოელთა გამარჯვება

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა XX საიუბილეო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დინამოელებსა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდს შორის.

შეჯიბრების დაწყებიდან ორი წუთი არც კი იყო გასული, რომ სტუმართა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

სტუმართა რამდენიმე კონტრიერიშს შედეგი არ მოჰყოლია. დინამოელებმა ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 1 : 0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. ისინი უტევდნენ ფლანგებიდან, ცენტრიდან. მათი ყველა ხაზი იბრძოდა ერთსულოვნად, კოლექტიურად.

მე-12 წუთზე ღოღობერიძემ ზუსტად მიაწოდა მაღალი ბურთი მცველ ჩოხელს, რომელმაც შორი მანძილიდან ძლიერი თავური დარტყმით ბურთი სტუმართა ბადეში გაახვია. შუა ტაიმში კუიბიშეველები 11-მეტრიანი დარტყმით დაჯარიმდნენ. ღოღობერიძემ მესამე ბურთი გაიტანა.

გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 3 : 0. ეს იყო დინამოელთა კარგი თამაშის შედეგი. ამ მატჩის მოგებით მათ მეათედან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლეს. სპორტის მოყვარულებმა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ერთსულოვანი ტაშით გააცილეს.

## ჩემპიონი დაფნის გვირგვინით შეამკეს

12 მაისს მოსკოვში საზეიმოდ დაიხურა მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საჭადრაკო მატჩ-რევანში.

შეჯიბრების ორგკომიტეტის თავმჯდომარის დ. პოსტნიკოვის შესავალი სიტყვის შემდეგ საერთაშორისო ოსტატმა გ. გოლომბეკმა (ინგლისი) შეაჯამა მატჩის შედეგი. ტრიბუნაზეა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხ. ხინდსტრემი (ფინეთი), რომელმაც მ. ბოტვინიკს მიულოცა დიდი გამარჯვება და გ. გოლომბეკთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი დაფნის გვირგვინით შეამკო. საბჭოთა გროსმაისტერმა ა. კოტოვმა მ. ბოტვინიკს გადასცა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი.

ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კოლექტივის სახელით, სადაც მუშაობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ბოტვინიკი, გამოვიდა პროფესორი ვ. ლომონოსოვი. დასასრულ სიტყვით გამოვიდა მ. ბოტვინიკი.

## საკავშირო ჩემპიონატი

ტალინში დამთავრდა ვაჟთა 6 კოლექტივის ასპარეზობა კალათბურთში. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელები დამარცხდნენ თავიანთ ლენინგრადელ თანაკლუბელებთან 53 : 57. დამარცხება განიცადა აგრეთვე თბილისის „დინამომ" კაუნასის „ჟალგირისთან" 64 : 76. მოსკოვის „დინამომ" მოუგო ტალინის „კალევს" 82 : 79.

ამრიგად, ტალინის ჯგუფში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის „დინამო" 11 ქულა, თბილისის „დინამო" და ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — რვარვა ქულა, ტალინის „კალევი" — 7 ქულა, კაუნასის „ჟალგირისი" — 6 ქულა, თბილისის „ბურევესტნიკი" — 4 ქულა.

## ბულგარელი ფრენბურთელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ბულგარეთის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. დღეს ისინი თბილისის „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონზე გამართავენ საერთაშორისო შეხვედრას თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდებთან.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

## მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ხელშეკრულება

14 მაისს სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა აღნიშნავენ ევროპის რვა სოციალისტურ სახელმწიფოს შორის ვარშავაში მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე წლისთავს. ამ დოკუმენტის წარმოშობა მშვიდობისმოყვარე ხალხებს სამართლიანად მიაჩნიათ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად.

ხელს აწერდნენ რა ვარშავის ხელშეკრულებას, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ გადადგეს სავსებით აუცილებელი ნაბიჯი თავიანთი უშიშროებისა და ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ამას მათ ავალებდა ახალი მდგომარეობა, რომელიც ევროპის კონტინენტზე შეიქმნა. იმ დროისათვის რატიფიცირებული იყო პარიზის შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნას „დასავლეთ ევროპის კავშირის" სახით, მასში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, რომელიც აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შეჰყავდათ. ამან გააძლიერა ახალი ომის საშიშროება და შეუქმნა საფრთხე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ეროვნულ უშიშროებას. ვარშავის ხელშეკრულების დადება ნიშნავდა იმას, რომ სოციალისტური ბანაკის ევროპის ქვეყნებში მშვიდობიანი მშენებლობის დაცვა, მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა რვა სოციალისტური ქვეყნის კოლექტიური საქმე გახდა. ვარშავის ხელშეკრულებას სავსებით უჭერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ვინაიდან აზიის მშვიდობა და უშიშროება განუყოფელია ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისაგან.

ევროპის რვა სახელმწიფოს ხელშეკრულება სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

ვარშავის ხელშეკრულების დადებით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა ცხადყვეს თავიანთი ურღვევი ერთიანობა. ხელშეკრულება კვლავაც დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობისა და დარაზმულობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძვლებზე მათი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში.

კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით სოციალისტური ქვეყნებისათვის უცხოა სხვისი ტერიტორიების დაპყრობისა და ხალხთა დამონების გეგმები. სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულებას, თანმიმდევრულად ახორციელებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკაში სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ურყევ ლენინურ პრინციპებს.

რვა ქვეყნის ხელშეკრულება მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოების თავდაცვითი ხელშეკრულებაა. ეს არის ვარშავის ხელშეკრულების ძირეული, პრინციპული განსხვავება იმპერიალისტური აგრესიული ხელშეკრულებებისაგან.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ერთგული არიან თავიანთი წმიდა და უცილობელი ვალდებულებებისა ურთიერთდახმარების შესახებ.

ვარშავის ხელშეკრულება, ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ შექმნილი სხვა აგრესიული ბლოკებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს კარჩაკეტილ სამხედრო დაჯგუფებას. ვარშავის ხელშეკრულება ღიაა იმისათვის, რომ მას შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოები, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის გზით ხელი შეუწყონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ღონისძიებების გაერთიანებას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. ეს ერთხელ კიდევ მთელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს ხელშეკრულების თავდაცვით ხასიათს.

ვარშავის ხელშეკრულების დადებისას სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი კვლავ მტკიცედ უჭერენ მხარს ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას და რომ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სისტემა შეიქმნება და ამ მიზნით დაიდება სრულიად ევროპის ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ, ვარშავის ხელშეკრულება თავის ძალას დაკარგავს სრულიად ევროპის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

რვა სოციალისტური სახელმწიფო განაგრძობს ბრძოლას ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის. მაგრამ სანამ იარსებებენ მიზეზები, რომლებმაც სოციალიზმის ქვეყნებს ვარშავის ხელშეკრულება დაადებინეს, მანამდე ეს ხელშეკრულება ძალას შეინარჩუნებს, დარჩება იმპერიალისტური აგრესიისაგან სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველყოფის მძლავრი ინსტრუმენტი.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა ვარშავის ხელშეკრულების შენარჩუნების აუცილებლობა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები, ისევე როგორც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სხვა ქვეყნები, მტკიცედ იბრძვიან საყოველთაო განიარაღებისათვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, ატომგულის იარაღის აკრძალვისა და მისი გამოცდის შეწყვეტისათვის. საბჭოთა კავშირმა 1955-დან 1957 წლამდე ცალმხრივი წესით 1 მილიონ 840 ათასი კაცით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები. ამჟამად მთავრდება კიდევ 300 ათასი კაცით შემცირება. მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი შეიარაღებული ძალები სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. ამას წინათ სსრ კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მხურვალედ მოიწონა მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნას სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი უმაღლეს დონეზე მთავრობის მეთაურთა მონაწილეობით მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მთელმა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ წამოაყენა იდეა ევროპის ცენტრში უატომო ზონის შექმნის შესახებ. ამ იდეასაც მხარი დაუჭირა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები დაჟინებით უარყოფენ სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს, რომელთა მიზანია ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება. ახორციელებენ რა „ძალის პოზიციის" პოლიტიკას, რომელიც მიმართულია პირველ რიგში სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, დასავლეთის სახელმწიფოები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას.

ვარშავის ხელშეკრულება რეალური და სერიოზული ძალაა, და ისინი, ვინც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს, იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას. ხელშეკრულება, რომელიც რვა სოციალისტური ქვეყნის კოლექტიური ნების გამოხატულებაა, ახლაც და კვლავაც იმსახურება ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

**ი. ივანოვი.**

## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ტრავიატა (მე-4 აბ. მე-3 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ესპანელი მღვდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე მეოცნებე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაბიჭვარი (8 ს. 30 წ.), **სომხური დრამის** — ენტონ გრანტის დანაშაული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (10 ს., აბ. № 27), კომბლე (6 ს., აბ. № 17), **თოჯინების ქართული** — ბრაზიანი მეზობლები (11 ს.), ბურატინოს თავგადასავალი (2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, დირიჟორი ჯ. გოკიელი, სოლისტები ლევ ვლასენკო და ლიუ ში-კუნი (ჩინეთი) (9 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — „ჭრელთა" საქმე, **ამირანი** (საზაფხულო) — ყალბი ფული, **კომკავშირელი** — მშვიდეცა, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ღამის პატრული, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო), **ცენტრალური კულტურის სახლი** — რიტა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ცისკარა, **კოლხიდა** (საზამთრო) — ჩექმები, **კოლხიდა** (საზაფხულო) — პირადად ცნობილია, **ოფიცრის სახლი, ყაზბეგი** — თეთრი აკაცია, **დიდუბე** (საზაფხულო) — მხატვრული ფილმი, **კოლმეურნე, საქართველო** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — შიშის საფასურად, **ისანი** (საზაფხულო) — ხაბკა, **ხარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — პიქა ლუდი, **კიროვის სახელობის პარკი** — ბატონი 420 (I და II სერია).

თბილისის „დინამოს" სტადიონი
ბრძოლის ქ. № 2
(ტელ. №№ 3-21-62, 3-26-17)
15 მაისს
**ფეხბურთი**
სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის
„შირაკ" (ლენინაკანი)—სკვო (თბილისი)
დასაწყისი 6 ს. 30 წ.
ბილეთები გაიყიდება 14 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის და კიროვის სახელობის პარკის სალაროებში.

თბილქსოვილტანსაცმელფეხსაცმელვაჭრობის დირექცია
აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ უმაღლესი თანრიგის სამკერვალო ატელიე № 15 (დოლიძის ქ. № 1, საბურთალო) 1958 წლის 1 აპრილიდან გადაყვანილია პირველ თანრიგზე და იღებს შეკვეთებს მამაკაცის, ქალის და ბავშვის ტანსაცმელზე როგორც სამკერვალო ატელიეს მასალით, ისე შემკვეთის მასალით.
ტანსაცმლის შეკერვის ფასი განახევრებულია პირველ თანრიგზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ატელიეს ტელ. № 2-13-31.

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდროლოგიური გამოკვლევებისა და პროგნოზების განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე (მეცნიერებათა დოქტორი, კანდიდატი ან პრაქტიკული გამოცდილების დიდი სტაჟის მქონე).
განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.
კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 150.
**ინსტიტუტის დირექცია**

ამ დღეებში გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული გაზეთი „სოფლის მეურნეობა" — გაზეთ „კომუნისტის" დამატება.
**ხელმოწერის პირობები:**
1 თვით — 1 მან. 20 კაპ.
2 თვით — 2 მან. 40 კაპ.
3 თვით — 3 მან. 60 კაპ.
6 თვით — 7 მან. 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებსა და სააგენტოებში, კოლმეურნეობათა ფოსტალიონებთან და პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.
**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

**მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობას**
(ყოფილი საბჭოთა მეურნეობა)
ესაჭიროება ელექტრომეურნეობის სპეციალისტები — ელექტრო-ინჟინერი, ელექტრო-მექანიკოსი, კვალიფიციური ელექტრო-მონტიორი, აგრეთვე ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (სარწყავ ქსელზე) და ტექნიკოსი-მშენებელი (ნორმადარი).
სამუშაოზე მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კომუნალური მომსახურებით და მიწის ნაკვეთით დასათესად.
მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი მუხრანი.

მეუღლე ელენე, შვილები მამია, ზურაბ, გივი, მურმან, ძმა დანიელ, დები ივდითი, სონია, თამარ, ქეთევან, რძლები ვენერა, ბაბული, თინა იუწყებიან
**ამბერკი არჯევანის-ძე მეგრელიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16-V, 8 ს. გამოსვენება 17-V, 5½ ს. 25 თებერვლის ქ. № 10.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების მუშაკები იუწყებიან
**ამბერკი არჯევანის-ძე მეგრელიშვილის**
გარდაცვალებას.

უე 02555 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14